

კავშირის, "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს, სპორტული საბჭოს სხდომის

ოქმი # 2020-05

ქ. თბილისი

05 აგვისტო, 2020 წელი

სხდომას ესწრება სპორტული საბჭოს 5 წევრი:

დავით მჭედლიშვილი

ვაჟა ლეჟავა

მერაბ სალუქვაძე

შალვა ზამთარაძე

სპორტული საბჭოს სხდომის წევრის ვაჟა ლეჟავას წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა დავით მჭედლიშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარის, დავით მჭედლიშვილის წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დასახელდა ვაჟა ლეჟავას კანდიდატურა.

სპორტული საბჭოს სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ვაჟა ლეჟავას "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დანიშვნას.

დღის წესრიგი :

- 2020 წლის საქართველოს ჩემპიონატი აღმართის დამლევაში, კოპილოტის მონაწილეების საკითხი.

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4

წინააღმდეგი 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

**1) 2020 წლის საქართველოს ჩემპიონატში აღმართის დაძლევაში, კო-პილოტის მონაწილეობის საკითხი.**

სპორტული საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მჭედლიშვილმა მოახსენა სხდომას, რომ მრბოლელების მხრიდან, რომლებიც მონაწილეობას აპირებენ 2020 წლის საქართველოს ჩემპიონატში აღმართის დაძლევაში, სიტყვიერი სახით გაჟღერდა თხოვნა, რომ რამოდენიმე ეკიპაჟს, რომლებიც პირველად აპირებენ მსგავსი ტიპის შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებას, იმისთვის, რომ უფრო უსაფრთხოდ ჩაატარონ მომავალი შეჯიბრებები, აქვთ სურვილი, რომ იასპარეზონ, როგორც კო-პილოტებმა, რათა დააგროვონ გამოცდილება და შემდგომ იასპარეზონ როგორც პილოტებმა. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის შეჯიბრებები დაგეგმილი იყო ჩატარებულიყო მხოლოდ მრბოლელების მონაწილეობით, გამონაკლისის სახით, რათა მოხდეს ახალი მრბოლელების მოზიდვა და აღნიშნული დისციპლინის პოპულარიზაცია, დავით მჭედლიშვილი შემოვიდა ინიციატივით, რომ მიმდინარე წლის საქართველოს ჩემპიონატზე აღმართის დაძლევაში დაშვებული იქნას კო-პილოტის მონაწილეობა.

სპორტულმა საბჭომ იმსჯელა დავით მჭედლიშვილის წინადადებაზე. საბჭოს წევრები: ვაჟა ლეჟავა და მერაბ სალუქვაძე მხარს უჭერენ დავით მჭედლიშვილის ინიციატივას და თანახმა არიან, რომ 2020 წლის საქართველოს ჩემპიონატზე აღმართის დაძლევაში მონაწილეობა მიიღონ კო-პილოტებმა. სხდომის წევრი - შალვა ზამთარაძის აზრით, კი ამგვარი მიდგომა მიუღებელია და მიმდინარე წლის საქართველოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს, საყოველთაოდ ცნობილი საერთაშორისო წესების მიხედვით და შეჯიბრებაში უნდა მონაწილეობდნენ მხოლოდ მრბოლელები. ხმათა უმრავლესობით სხდომამ დაადგინა, რომ 2020 წლის საქართველოს ჩემპიონატზე აღმართის დაძლევაში, მხოლოდ წელს, გამონაკლისის სახით დაშვებული იქნას კო-პილოტის მონაწილეობა. ამავე დროს კო-პილოტებად დაიშვებიან მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ყველა მოთხოვნათა დაცვით მიიღებენ მრბოლელის ეროვნული ლიცენზიის ნებისმიერ კატეგორიას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 3

წინააღმდეგი 1

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 4 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ხმათა უმრავლესობით.

სხდომის თავმჯდომარე: \_\_\_\_\_

დავით მჭედლიშვილი

სხდომის მდივანი:

\_\_\_\_\_

ვაჟა ლუქვა

სხდომის წევრი:

\_\_\_\_\_

შალვა ზამთარაძე

სხდომის წევრი:

\_\_\_\_\_

მერაბ სალუქვაძე